

# აქტივობების კრებული

## ნაწილი 1



2023 წელი

ლელა ფალავაშვილი

ნინო ნიკოლეიშვილი

# აქტივობების კრებულს

ნაწილი 1



**განათლებისა და  
მეცნიერების სამინისტრო**

გზამკვლევი მოგზადებულია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს  
"ინკლუზიური სწავლების სელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში.

თბილისი, 2023

## **გზამკვლევა მუშაობას კორდინაციას უწევდა:**

თამარ ჟღენტი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს  
ინკლუზიური განვითარების სამმართველოს უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი

## **ავტორები:**

**ლელა ფაღვალაშვილი**

ფსიქოლოგი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

**ნინო ნიკოლეიშვილი**

ფსიქოლოგი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-8-5873-4

<b>I. შესავალი</b>	<b>4</b>
აქტივობის მნიშვნელობა სწავლა-სწავლების პროცესში	4
დიფერენცირებადი მიდგომის გამოყენება აქტივობების დაგეგმვისას	6
სწავლის ძირითადი სამი სტილი	10
მასწავლებლის რეფლექსიური პრაქტიკა ეფექტური აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის	11

<b>II. აქტივობების განხილვა</b>	
აღქმა	14
მეხსიერება	19
ყურადღება	22
აზროვნება	25

<b>III. პრაქტიკული სავარჯიშოები</b>	
აღქმა	31
მეხსიერება	71
ყურადღება	84
აზროვნება	113

# შესავალი

აქტივობათა კრებული, განკუთვლილია სპეციალური მასწავლებლებისთვის, მასწავლებლებისთვის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისთვის, მშობლებისა და ყველა იმ დაინტერესებული პირისთვის, ვინც მონაწილეობს ბავშვის განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესში.

გზამკვლევეში ბავშვის განვითარების სფეროების მიხედვით აღწერილია განვითარების თავისებურებები და მოცემულია შესაბამისი აქტივობათა ნიმუშები, რომელთა გამოყენებაც სპეციალისტსა თუ დაინტერესებულ პირს შეუძლია სწავლა-სწავლების პროცესში.

აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება სწავლა-სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. კრებულში წარმოდგენილია აქტივობები, რომელთა საშუალებითაც მასწავლებელს კომპლექსურად შეუძლია იმუშაოს ბაზისური აკადემიური, კოგნიტური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებაზე.

სწავლა-სწავლების პრაქტიკის ეფექტიანად წარმართვისთვის, მასწავლებლის დამხმარე საშუალებად, ასევე წარმოდგენილია თეორიული ჩარჩო აქტივობათა დაგეგმვა-განხორციელებისთვის, რაც გულისხმობს დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებასა და რეფლექსიური პრაქტიკის დანერგვას. აქტივობათა კრებულის მიზანია, შესთავაზოს მასწავლებლებს ისეთი აქტივობათა ნიმუშები, სადაც გათვალისწინებულია ბავშვის განვითარების სფეროთა შორის ურთიერთკავშირები და მათ შესაბამისად დიფერენცირებულია მასალები და ინსტრუქციები.

აქტივობათა კრებული ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია ინფორმაცია აქტივობათა მნიშვნელობის, შერჩევის, ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენების შესახებ. წარმოდგენილია აღქმის, აზროვნების, მეხსიერების, ყურადღების განმავითარებელი აქტივობები. მეორე ნაწილი აკადემიურ უნარებს ეთმობა, მოცემულია ანგარიშის, წერის, კითხვის უნარების განმავითარებელი აქტივობები და რეკომენდაციები. ყველა ნაწილს, დანართის სახით ახლავს აქტივობათა ნიმუშები, რომელთა გამოყენება, მოსწავლესთან მუშაობის პროცესშია შესაძლებელი.

## აქტივობის მნიშვნელობა სწავლა-სწავლების პროცესში

თითოეული ადამიანი, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, მუდმივად ჩართულია რაიმე ტიპის აქტივობაში. მაგალითად, თქვენ ახლა ამ წიგნის კითხვის აქტივობით ხართ დაკავებული. აქტივობა ერთგვარად სამყაროს შეცნობის, მუდმივი ძიების, განვითარების ხელშეწყობის, ქმედებისა და დასახული მიზნის განხორციელების მნიშვნელოვანი გზაა. იგი ჰგავს ინსტრუმენტს, რომელიც გვეხმარება შევიძინოთ

სამყარო, მივიღოთ მნიშვნელოვანი გამოცდილება, ცოდნა გამოვიყენოთ სხვადასხვა კონტექსტში და ვადაპტირდეთ გარემოსთან. აქტივობაში ვართ ჩართული ყოველთვის, მაშინ როდესაც კოგნიტურ პროდუქტს ვქმნით: ვფიქრობთ, ვაზროვნებთ, ვკითხულობთ, ვსვამთ ან ვპასუხობთ შეკითხვებს და მაშინაც, როცა რაიმეს ფიზიკურად ვახორციელებთ: მივდივართ ველოსიპედით მთაში, სკოლიდან სახლამდე, ვწერთ ტექსტს თუ წყლიან კოლბაში ვყრით ქვიშას.

ჩვენ ვთავაზობთ მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს საგაკვეთილო პროცესში. ეს ხდება არა იმიტომ, რომ მათ ეს აქტივობები შეასრულონ კარგად ან ცუდად, არამედ იმიტომ, რომ ამ აქტივობით მიიღონ ცოდნა, განივითარონ უნარები და შეძლონ მათი ფუნქციური გამოყენება, მათ შორის სასკოლო გარემოს მიღმა. სწავლა-სწავლების პროცესში, აქტივობა არის საშუალება იმ მოკლევადიან თუ გრძელვადიან მიზნებზე სამუშაოდ, რომლებსაც მასწავლებელი მიზნად ისახავს მოსწავლესთან. როგორც ზემოთ აღინიშნა, აქტივობა აქტივობისთვის არ ხორციელდება, ის რაიმე მიზანს უნდა ემსახურებოდეს. ამჯერად, ჩვენ აქცენტს არ ვაკეთებთ მიზნების დასახვასა და შერჩევაზე, თუმცა პროცესში მათი ხსენებაც აქტუალური იქნება, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნებისმიერი აქტივობა, რაიმე მიზნის მისაღწევი გზაა.

სწავლა - სწავლება რთული, კომპლექსური პროცესია, რომელიც მხოლოდ საგაკვეთილო სივრცეს არ მოიცავს. მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია მოსწავლეთა ოჯახის, კულტურული, სკოლის, თანატოლებთან ურთიერთობის კომპონენტებიც. მოსწავლეებს უკვე აქვთ გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილება, ინტერესები და განზრახვები, რაც აისახება სასწავლო პროცესზეც. შესაბამისად, პროცესი იწყება თქვენი მოსწავლეების გაცნობით.

იმისთვის, რომ ეფექტიანად განვახორციელოთ დაგეგმილი აქტივობა, სწორად შევარჩიოთ სწავლების სტრატეგია, მნიშვნელოვანია, კარგად ვიცნობდეთ მოსწავლეს და წინასწარ გვეჩვენოს დაგეგმილი პროცესი, მისი საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით.

სანამ მოსწავლისათვის სასწავლო აქტივობას დავგეგმავთ, მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ, რამდენად არის მზად მოსწავლე ჩვენ მიერ შეთავაზებული მასალის დასაუფლებლად. შესაბამისად, წინარე ცოდნის შემოწმება, ნასწავლი მასალის გახსენება, გამეორება ამ პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ჰოლისტური შეფასება გულისხმობს ვფლობდეთ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ ინფორმაციას მისი განვითარების თითოეულ სფეროსთან მიმართებაში, რადგან განვითარების არცერთი სფერო არ ფუნქციონირებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, განვითარების ყველა სფერო მჭირდო კავშირშია ერთმანეთთან. მოსწავლის ძლიერი მხარეების ცოდნა გვეხმარება მოსწავლის ინტერესებს დავეყრდნოთ და გავზარდოთ მისი მოტივაცია. საჭიროების გამოკვეთა აუცილებელია სასწავლო და განმავითარებელი მიზნების

დასახვისთვის, როდესაც მოსწავლესთან ვმუშაობთ წერის, კითხვის ან სხვა რომელიმე უნარის განვითარებაზე, უმნიშვნელოვანესია აღქმის, ყურადღებისა თუ სხვა უნარების განვითარების მხრივ მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინება. კრებულში მოცემული აქტივობები წარმოადგენს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშემწყობ ნიმუშებს და მასწავლებლებს დაეხმარებიან დიფერენცირებული მიდგომის გამოყენების შესახებ ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირებაში.



სურ. 1 ჰოლისტური შეფასება

შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის შემდეგ, შეგიძლიათ მოახდინოთ სასწავლო მასალის შინაარსის/პირობის, პროცესის თუ პროდუქტის დიფერენცირება, მოსწავლის სწავლების სტილის, მზაობისა და ინტერესების გათვალისწინებით.

**დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება აქტივობების დაგეგმვისას**

დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში გულისხმობს:

შევქმნათ კონკრეტულ სამიზნე უნარების განვითარებაზე მორგებული აქტივობები, რომლებიც მიეწოდება მოსწავლეს მრავალფეროვანი და საჭიროებების შესაბამისი ფორმატით, სხვადასხვა დონის სირთულის მასალით,

დროის სხვადასხვა მონაკვეთში, რათა მოსწავლემ შეისწავლოს საკითხი, გაამრავალფეროვნოს ცოდნა და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენოს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული უნარები.

### დიფერენცირებული მიდგომის მიხედვით აქტივობის პირობისა და პროცესის დაგეგმვა



სურ. 2 დიფერენციალური მიდგომა

იმისათვის, რომ სწორად შევარჩიოთ, ჩამოვყალიბოთ აქტივობის პირობა, ვითვალისწინებთ მოსწავლის ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებს. პირობა იმგვარად უნდა იყოს შერჩეული, რომ მოსწავლემ სრულად შეძლოს მისი გაგება. მაგალითად, თუ მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთსაფეხურიანი ინსტრუქციების შესრულება, შეთავაზებული აქტივობა არ უნდა მოიცავდეს ინსტრუქციას, რომელიც მრავალსაფეხურიანი იქნება. შესაბამისად, ინსტრუქციის შემცირებით პირობაში დაგვჭირდება მოდიფიკაცია, ასევე, თუკი მოსწავლის ლექსიკური მარაგი მწირია, საჭიროა, გამოვიყენოთ იმგვარი სიტყვები და ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მისთვის გასაგებია და დამატებითი განმარტებების მიცემას არ საჭიროებს. შესაძლებელია, პირობას თან ახლდეს ვიზუალური მასალაც, იმ შემთხვევისთვის, თუ მოსწავლეს უჭირს ვერბალურად მიწოდებული ინფორმაციის დამოუკიდებლად გაგება.



სურ. 3 დიფერენცირება პირობაში

### პირობის შინაარსის ეფექტიანად მიწოდებისთვის მნიშვნელოვანია რესურსის ყურადღებით შერჩევა



შვილი დღის განმავლობაში, რას უყურებს, რით თამაშობს, რით ერთობა, რა აინტერესებს.




სურ. 5 სამი ძირითადი რამ მოსწავლის შესახებ

თუ მოსწავლე უკვე სარგებლობს დამატებითი სერვისებით, პროცესში კი სხვა სპეციალისტებიც არიან ჩართულნი, მაგალითად, ქცევითი, მეტყველების, განვითარებისა თუ ოკუპაციური თერაპევტები, შეგვიძლია, მათგანაც მივიღოთ საჭირო ინფორმაცია.

რაც მთავარია, მივცეთ მოსწავლეს საშუალება გაეცნოს გარემოს, შეხედოს, დაათვალიეროს მოსინჯოს გარემოში არსებული, ჩვენ მიერ შეთავაზებული რესურსები თუ აქტივობები. პროცესზე დაკვირვება კი მოგცემს შესაძლებლობას, ჩავინიშნოთ რის გამოყენებას შევძლებთ საგაკვეთილო პროცესში, იმისთვის რომ მისთვის საინტერესო, სახალისო და მამოტივირებელი აღმოჩნდეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, მოსწავლის სწავლის სტილის შესახებ ინფორმაციის მოძიებაა. მოსწავლეთა სწავლის სტილის გამორკვევა მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში აქტივობისა თუ სტრატეგიის სწორად შესარჩევად და განსახორციელებლად.

### სწავლის ძირითადი სამი სტილი



სურ. 6 სწავლის სტილი

**ვიზუალური ტიპის დასწავლის მქონე მოსწავლეები** ყველაზე უკეთ სწავლობენ ვიზუალური აღქმით. ისინი კარგად მუშაობენ, როდესაც აკეთებენ ჩანაწერებს, მონიშვნებს, ვიზუალურ მარკერებს, ხშირად ადგენენ სქემებს, გეგმას, მცირე ჩანაწერებს. უყვართ გრაფიკების, დიაგრამების გამოყენება. უკეთესად იგებენ, როდესაც ისმენენ და თან თვალთ ალიქვამენ მოსმენილ ინფორმაციას. შესაბამისად, მათთვის შეთავაზებული აქტივობები, უმჯობესია დატვირთული იყოს ვიზუალური მასალით.

**სმენითი, აუდიალური დასწავლის ტიპის მქონე მოსწავლეები** ყველაზე უკეთ სწავლობენ მაშინ, როდესაც ისმენენ. ვიზუალური დასწავლის ტიპის მოსწავლეებისგან განსხვავებით, მათთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია მასალის ორგანიზება და ვიზუალიზაცია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მათ კარგად შეუძლიათ ალიქვან მოსაუბრის ხმის ტემბრი, რიტმი. მათ სწავლების პროცესში ეხმარებათ ხმოვანი ჩანაწერები, ხმამაღლა, წყვილში კითხვა. უკეთ სწავლობენ მასწავლებელთან, ასისტენტთან, ოჯახის წევრთან, თანატოლთან მუშაობისას.

**ტაქტილური ან კინესთეტიკური დასწავლის ტიპის მოსწავლეები** ყველაზე უკეთ სწავლობენ მულტისენსორული სწავლების მეთოდებით. რადგან ისინი ინფორმაციის მიღებასა და ინტერპრეტირებას, სხვადასხვა სენსორული გზებით ახერხებენ. მათთვის ყველაზე ეფექტურია პატარა ჯგუფებში მუშაობა, როლური, კეთებით, პროექტზე დაფუძნებული აქტივობების შეთავაზება.

მოსწავლის სწავლის სტილის თავისებურებები განაპირობებს იმას, თუ როგორი ინსტრუქციების, რესურსების, დამხმარე საშუალებების გამოყენება გვჭირდება ეფექტიანი აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. სავსებით შესაძლებელია, მოსწავლე ცოდნის შესაძენად იყენებდეს რამდენიმე სწავლის

სტილს, რაც მასწავლებელს აძლევს საშუალებას უფრო მრავალფეროვანი აქტივობებით შეუწყოს ხელი მოსწავლეს დასახული მიზნების მიღწევაში.<sup>2</sup>

## მასწავლებლის რეფლექსიური პრაქტიკა ეფექტური აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის

მოცემული აქტივობათა კრებულის, ერთ-ერთი მიზანია, მასწავლებლებს მისცეს საშუალება, თავად შეაფასონ საკუთარი პრაქტიკული საქმიანობა და აქტივობების ეფექტიანობა რეფლექსიური კითხვების საშუალებით, რაც, თავის მხრივ, პოზიტიურად აისახება მასწავლებლის თვითეფექტიანობის განცდასა და მოტივაციაზე.

პროფესიული ლიტერატურა და თეორიული მასალა აერთიანებს ინფორმაციას თეორიებისა და სტრატეგიების შესახებ, რომელთა გამოყენებაც ითვლება ინკლუზიური გარმოს უზრუნველყოფის წინაპირობად. აქტივობათა კრებული, ერთი მხრივ, მასწავლებლებს სთავაზობს მზა მასალას აქტივობების განსახორციელებლად, მეორე მხრივ, კი ეხმარება მასწავლებლებს შეძლონ აქტივობების მიზნობრივი გამოყენება და საკუთარ პრაქტიკაზე მორგება.

### რა არის თვითრეფლექსია და როგორ გამოიხატება მასწავლებლის პრაქტიკაში


თვითრეფლექსია როგორც ცნება, გულისხმობს პიროვნების ფსიქიკური, გონებრივი რესურსისა და ენერჯის მიმართვას საკუთარი პროფესიული აქტივობის პროცესებისკენ.

ეფექტური აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება მასწავლებლის მხრიდან მოითხოვს შრომას, ძალისხმევასა და ენერჯიას, თვითრეფლექსიური პრაქტიკა კი ამ მოთხოვნების დაძლევაში გვიწყობს ხელს. როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე, მასწავლებლებისათვის, ახალი უნარის სწავლა განსხვავდება ამ უნარის ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობისაგან და მოითხოვს პიროვნების ჩართვას უწყვეტ, სიღრმისეულ პროცესში, ფიქრში, რომელიც ამ უნარს უკავშირდება. თეორიული ცოდნა პიროვნების ერთი ძლიერი მხარეა ხოლო, მისი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა დამატებით უნარს წარმოადგენს.

---

<sup>2</sup> მოსწავლის მზაობის, სწავლის სტილისა და ინტერესების გათვალისწინებით სწავლა-სწავლების სტრატეგიების გამოყენების შესახებ დამატებითი თეორიული მასალა იხილეთ : <https://mes.gov.ge/uploads/files/stsavla-stavslebis%20qzamkvlevi.pdf>

მასწავლებლის რეფლექსიურ პრაქტიკაში რამდენიმე ძირითადი კომპონენტის გამოყოფა შესაძლებელია, რომლებიც სწავლა-სწავლების პროცესს და უშუალოდ აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას უკავშირდება.



სურ. 7 რეფლექსიური პრაქტიკა

რეფლექსიური პრაქტიკის კომპონენტები:


1. მასწავლებლის მიერ **ცოდნის ფლობა კლასში არსებული საგანმანათლებლო გარემოს შესახებ** - მასწავლებელი იცნობს კლასის თითოეულ მოსწავლეს, აცნობიერებს ამ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს განვითარების თავისებურებების მხრივ, იცის მოსწავლეთა ინტერესების შესახებ და შესწავლილი აქვს მოსწავლეთა სწავლის სტილის მიხედვით დიფერენცირებული მიდგომის გამოყენების საჭიროება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინდივიდუალური სწავლის სტილი დაკავშირებულია მოსწავლეებისთვის საჭირო ადაპტაციებთან, მასწავლებელმა, იცის როგორ წარმართოს სწავლება თითოეული მოსწავლისთვის გასაგებად. გაცნობიერებული აქვს კავშირი სწავლის მიზნებსა და კლასში მიმდინარე პროცესს შორის.

2. **სასწავლო მიზნებთან, საჭირო რესურსებთან, დიფერენცირებული მიდგომით სწავლების სტრატეგიების დაგეგმვასა და სასწავლო აქტივობების შექმნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება.** ეს კომპონენტი მნიშვნელოვნად ეყრდნობა თითოეული მოსწავლის საჭიროებების შეფასებას, მის შესახებ ცოდნისა და ინფორმაციის მოპოვებას.
  
3. **დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობის შეფასება** - როდესაც თითოეული მოსწავლისთვის საჭირო სასწავლო ნაბიჯი მიზანმიმართულად და შეფასების რელევანტურად არის დაგეგმილი, მნიშვნელოვანია შევავასოთ მივაღწიეთ თუ არა დასახულ მიზნებსაც. ამისთვის საჭიროა ყოველდღიური ჩანაწერებისა და მონაცემების შეფასების ფორმების არსებობა, რომელიც მორგებულია აქტივობას. ჩანიშვნების წარმოება მასწავლებელს ეხმარება მუდმივად განაახლოს ინფორმაცია სასწავლო სტრატეგიების ეფექტიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სწრაფად განახორციელოს ცვლილებები.
  
4. **საკუთარი ქმედებების სწრაფი ადაპტირების შესაძლებლობა.** აქტივობებისა და მოსწავლის შედეგების შესახებ ჩანიშვნები საშუალებას აძლევს მასწავლებელს ერთდროულად მიზნობრივი და სიტუაციური ცვლილებები შეიტანოს გაკვეთილის სტრუქტურაში, აქტივობაში, რესურსებში ან შეცვალოს ინსტრუქციები. მსგავსი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეყრდნობა მიმდინარე პროცესების შეფასებას მასწავლებელს ეხმარება: გამოკვეთოს გაურკვევლობები, მცირე ჩავარდნები სასწავლო ნაბიჯებში, გაზარდოს მოსწავლეთა ჩართულობა და მუდმივად ჰქონდეს შესაძლებლობა მოსწავლეს შესთავაზოს სწავლების ალტერნატიული

სურ. 8 თვითრეფლექცია

შეიტანეთ თქვენი სწავლების სტრატეგია

"დროს კედლზე იმავე ვიქს, რომელი ინსტრუქციული სტრატეგიებისა და დამხმარე მეთოდების გამოყენება დამჭირდება, რომ მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებას კუზასებო".



მეთოდები.

მასწავლებლებმა, რომლებიც საკუთარ პრაქტიკას რეფლექსიურად წარმართავენ, კარგად იციან, რომ მათ მოსწავლის წარმატებაზე სწავლაში მყისიერი და ძლიერი გავლენის მოხდენა შეუძლიათ და როდესაც მოსწავლეებს უჭირთ სწავლის პროცესთან გამკლავება, მარტივად ახერხებენ მოსწავლის დახმარებას მიზნობრივი და წინასწარ გათვლილი სტრატეგიებით.

**რას ნიშნავს წარმართო პრაქტიკა რეფლექსიურად? რამდენად ხშირადაა საჭირო რეფლექსია სწავლების მეთოდებისა და მოსწავლეების სწავლის შედეგების შესახებ?**

რეფლექსია ჩვევაა, რომელიც ისევე როგორც სხვა უნარ-ჩვევები განვითარებას საჭიროებს. რეფლექსიისთვის საჭირო მიმართებების დაცვა მოითხოვს პრაქტიკას, ჩართულობის სურვილს და ყურადღების ფოკუსირებას, ამ ძალისხმევის გავარჯიშების შემდეგი კი მასწავლებელი რეფლექსიას ინტუიციურად მიმართავს. ასეთ შემთხვევაში, მასწავლებელი არ ელოდება როდის მიიღებს უკუკავშირს, თუ რაზე გაამახვილოს ყურადღება, ის მუდმივად საქმის კურსშია, თუ რას მოითხოვს საგანმანათლებლო გარემო მოსწავლეებისთვის, იღებს მიზნობრივ გადაწყვეტილებებს, ასფასებს ამ გადაწყვეტილების შედეგებს და მოქნილად შეუძლია რეაგირება სწავლა-სწავლების პროცესის გამოწვევებზე.

თვითრეფლექსია მასწავლებელს ეხმარება სამუშაო სტრესთან გამკლავებაში, პოზიტიურად აისახება თვითეფექტურობის განცდაზე. თვითრეფლექსიის კითხვების დახმარებით მარტივადაა შესაძლებელი იმ საჭირო მეთოდების აღმოჩენა, რომელიც აქტივობის ეფექტიანდ განხორციელებისთვისაა საჭირო. მასწავლებლისთვის თვითრეფლექსიის პროცესში თვალსაჩინო ხდება მოსწავლესთან სხვადასხვა უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაზე მუშაობისთვის არსებული საკუთარი შესაძლებლობები.



აღქმა შეგრძნებათა დახმარებით, საგნების, ურთიერთობებისა და მოვლენების გაცნობიერების პროცესი ან შედეგია, რაც მოიცავს ისეთ აქტივობებს როგორცაა ცნობა, დაკვირვება და გამორჩევა. ეს აქტივობები ორგანიზმს საშუალებას აძლევს მოახდინოს გააზრებულ ცოდნაში მიღებული სტიმულების ორგანიზება და ინტერპრეტირება, განახორციელოს შესაბამისი კოორდინირებული ქცევა (APA). უფრო მარტივად რომ ვთქვათ, აღქმა არის პროცესების ერთობლიობა, რომელთა შესრულებითაც ჩვენ ამოვიცნობთ, ორგანიზებას ვახდენთ და მნიშვნელობას ვანიჭებთ გარემო სტიმულებისგან მიღებულ შეგრძნებებს. (მ.წერეთელი 2021).


ქვემოთ განვიხილავთ ვიზუალური აღქმის რამდენიმე კომპონენტს და მათზე სამუშაოდ განკუთვნილი აქტივობების ნიმუშებს:



სურ. 1 აღქმის კომპონენტები


ვიზუალური დისკრიმინაციის უნარი გვხმარება საგნებს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების დანახვაში. იგი იმაზე უფრო მეტ სხვა უნართან არის კავშირში, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. მაგალითად, ვიზუალური დისკრიმინაცია კითხვის მნიშვნელოვანი ნაწილია. კითხვა შესაძლოა გართულდეს, როდესაც ბავშვს ერთმანეთში ერევა მსგავსი მოხაზულობის ასოები, ერთნაირად კითხულობს სიტყვებს, რომელიც მსგავსი ასოებისგან შედგება, მაგალითად, „თავი“ და „თივა“. დისკრიმინაციის უნარი მნიშვნელოვანია ციფრების გამოყენებისთვის და პასუხისმგებელია სოციალურ ურთიერთობებში წარმატების მიღწევაზეც კი.

დავალების შეთავაზება, სადაც მოსწავლეს გართულებულ პირობებში, ერთმანეთზე გადახაზული ობიექტების ამოცნობა მოუწევს, ვიზუალურ დისკრიმინაციაზე სამუშაოდ ერთ-ერთი გავრცელებული აქტივობაა (სურ. 2). თუმცა, თუ ინსტრუქციას უფრო კომპლექსურს გავხდით, ამადროულად შეიძლება ვიმუშაოთ სახელდებაზე (დაასახელოს გამოსახული ობიექტები), მოტორიკაზე (განსხვავებული ფერით აღნიშნოს თითოეული ობიექტის კონტური) და ა.შ. გარდა ამისა, თუ რამდენი და რა სირთულის ობიექტი იქნება მოცემული მოსწავლისათვის შეთავაზებულ



სურ. 2 ვიზუალური დისკრიმინაცია


აქტივობაში, მისი მიღწევის დონისა და დასახული მიზნის გათვალისწინებით უნდა შეირჩეს.



მაგალითისთვის, იმ შემთხვევაში თუკი მოსწავლეს არ შეუძლია დასახელება, თუმცა ცნობს ობიექტებს, შეგვიძლია შევთავაზოთ დავალება იმგვარად, რომ ინსტრუქცია მიმართული იყოს ობიექტების ცნობაზე, ისე როგორც აქტივობის ნიმუშშია მოცემული (სურ. 3).

სურ. 3 ვიზუალური დისკრიმინაცია წყარო : twinkl.com

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვიზუალური დისკრიმინაცია მნიშვნელოვანი უნარია ასოებისა და ციფრების დასწავლის პროცესში. კომპლექსურად შეთავაზებული აქტივობით(სურ. 4), მოსწავლეს, ერთი მხრივ, შესაძლოა დავეხმაროთ, ვიზუალური დისკრიმინაციის უნარის განვითარებაში, მეორე მხრივ, მისი ვიზუალურ-სივრცითი აღქმის (ამოსაცნობად ობიექტი საჭიროებს როტაციას სივრცეში), სელექციური ყურადღების (სამიზნე ობიექტის ამორჩევა სხვა ობიექტებს შორის) და რაც მთავარია აკადემიური უნარების (ასოების, რიცხვების ცნობა და დასახელება)




სურ. 4 ვიზუალური დისკრიმინაცია

გავარჯიშებაშიც შევუწყობთ ხელი.


აღქმის მთლიანობა წარმოადგენს უნარს, ამოიცნო ობიექტი, სიტყვა ან სურათი, მაშინაც, როდესაც ნაჩვენებია მისი მხოლოდ მცირე ნაწილი. ამ დროს წარსული გამოცდილება ერთგვარად „ავსებს ცარიელ ადგილს“ და წარმოადგენს როგორც მთლიანს. აღნიშნული უნარი გვეხმარება კითხვის მოქნილობის გაუმჯობესებაში, ფაზლებისა თუ სხვა თავსატეხების აწყობაში, ჩვენგან შორს მდებარე, არასრულად დანახული საგნის გარჩევასა და შესაბამისად, გარემოსთან ადაპტირებაში.

აქტივობები, რომლებიც აღნიშნულ უნარზე სამუშაოდ შეიძლება გამოვიყენოთ, ინტეგრირებული შეიძლება იყოს სხვადასხვა სასკოლო საგანშიც. მაგალითად, თუკი ბუნებისმეტყველებაში, სასწავლო მიზანია, მოსწავლემ შეძლოს ცოცხალი ორგანიზმის სხეულის ნაწილის ცნობა ან დასახელება, სწავლა-სწავლების პროცესში მისი აღქმის მთლიანობის უნარის განვითარებასაც შეიძლება შევუწყობთ ხელი. ამგვარი აქტივობების შეთავაზებისას, აღქმის აღნიშნულ კომპონენტთან ერთად, ყურადღების



სურ. 5 აღქმის მთლიანობა

კონცენტრაციის (მოსწავლემ წარმართოს ყურადღება ერთი მიმართულებით) აზროვნების (გამოყოს მთლიანიდან ნაწილი) განვითარებაზეც ვმუშაობთ (სურ. 5).




გეომეტრიული ფიგურების დასწავლაზე.

აქტივობა, სადაც მოსწავლეს ვთხოვთ დაასრულოს მოცემული გეომეტრიული ფიგურები (სურ. 6), კიდევ ერთი ნათელი ნიმუშია იმისა, ალქმის მთლიანობაზე მუშაობის პროცესში, როგორ შეიძლება დავეხმაროთ მოსწავლეს განვითაროს ის უნარები, რაც მოგვიანებით სხვადასხვა საგანში დასახული მიზნის მიღწევაში დაეხმარება. ერთი აქტივობით შესაძლოა ვმუშაობდეთ მოსწავლესთან, როგორც მთლიანობითი, ასევე, ვიზუალურ სივრცითი ალქმის, ვიზუალური ყურადღების, მოტორული უნარების განვითარებაზე და ამასთანავე

სურ. 6 ალქმის მთლიანობა

სწავლა-სწავლების პროცესში ტანგრამების (სურ. 7) გამოყენებით კი, შესაძლებელია მთლიანობითი ალქმის, ვიზუალური დაგეგმვისა და კოორდინირების, ვიზუალურ სივრცითი უნარების, გეომეტრიული ფიგურების ცნობისა და



მათი სივრცეში როტაციის განვითარებაზე მუშაობა.

სურ. 7 წყარო: twinkl.com

ფიგურა-ფონი - ალქმის უნარი განასხვავო ობიექტი მისი ფონისგან. ბავშვებს, რომლებსაც აღნიშნულ უნართან მიმართებით აღნიშნებათ სირთულეები, ხშირად უჭირთ კითხვის სწავლა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ წიგნებში ერთ გვერდზე, ერთდროულად უამრავი სიტყვაა მოცემული. ასევე, სიძნელე იკვეთება ფაზლებისა თუ სხვა ტიპის თავსატეხების ამოხსნისას, თუკი ის მრავალი დეტალისგან შედგება.

ალბათ, იშვიათად გვიფიქრია, აქტივობაში, სადაც მოსწავლეს ევალება ლექსში (სურ. 8) არსებული ყველა ცხოველი მოძებნოს და ამოიწეროს,

გაუმართავთ ცხოველებს  
საკვირაო ბაზარი,  
მოაგორეს ციყვებმა,  
ნაბლი უზარმაზარი.  
მაჩვი ყიდის ვაშლის ჩირს,  
რკოს ასაღებს მელია,  
ზღარბის მარწყვის მურაბა,  
მართლაც გემრიელია.  
ტურა აქებს ჟოლოს ჯემს,  
ჭარხალს ყიდის კურდღელი,  
დათვმა თაფლის ჭამისგან,  
აიტკია მუცელი.  
ყველაფერი გაყიდეს,  
ყველა ბედნიერია,  
ცხოველების ნაშრომი,  
მართლაც გემრიელია

სურ. 8 ფიგურა-ფონი

ავტორი: მაია წიგნაძე

კითხვისა და წერის უნარების განვითარების გარდა, აღქმის აღნიშნულ კომპონენტსაც ვაუმჯობესებთ. ამასთანავე, თუკი მოსწავლე ჯერ ვერ კითხულობს, შეგვიძლია ცალკეული ობიექტისა და ასოს ამორჩევასა და მოძიებაზე ვიმუშაოთ.

ვიზუალურ-სივრცითი აღქმა გულისხმობს, გარემოში არსებული ობიექტების მდებარეობის ან ურთიერთმდებარეობის განსაზღვრას. იგი გვეხმარება ისეთი მნიშვნელოვანი აქტივობების შესრულებაში, როგორცაა სივრცეში უსაფრთხოდ გადაადგილება. ვიზუალურ-სივრცითი აღქმა ჩართულია როგორც კითხვის, ასევე, წერის სწავლის პროცესში. თუ ვიზუალურ-სივრცითი აღქმის პრობლემა იკვეთება, სივრცეში ორიენტაციის გამწვანებასთან ერთად, მოსწავლემ შესაძლოა, ვერ განარჩიოს მსგავსი მოხაზულობის ასოები, ვერ შეძლოს ხაზზე წერის წესების დაცვა და ა.შ.

ვიზუალურ-სივრცითი აღქმისთვის შეთავაზებული აქტივობა (სურ. 9) მეტყველების განსავითარებლადაც შეგვიძლია გამოვიყენოთ. სამსიტყვიანი წინადადებით სურათის აღწერა, (კატა ზის მაგიდაზე); დასმულ კითხვაზე (რა, სად, რას შვრება?) პასუხის გაცემა და ა.შ. მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, დავალებათა სირთულე ეტაპობრივად იზრდება, თუ წინა შემთხვევაში მოსწავლეს, სივრცითი მიმართების გათვალისწინებით, სამი სიტყვით სურათის აღწერა ევალება, სხვა შემთხვევაში, შესაძლოა, აღწერა რამდენიმე წინადადებად გავზარდოთ, შეთავაზებული ვიზუალური მასალა კი უფრო კომპლექსური გავხადოთ.



სურ. 9 ვიზუალურ-სივრცითი აღქმა



თუ მოსწავლეს ვაძლევთ დავალებას (სურ.10) „საბამ მარკეტში წასვლა და თავისი ძროხის გაყიდვა გადაწვიტა. შენი დავალებაა აღწერო მარშრუტი, რომელიც მან გაიარა. დავალების წარდგენის დროს უპასუხე შემდეგ კითხვებს:

- შენი აზრით, მოახერხებს ჯეკი უცნაური კაცისთვის თავის არიდებას?
- რას ეტყვის კაცი მას?“

სურ. 10 ვიზუალურ-სივრცითი აღქმა.

წყარო : twinkl.com

ზემოაღნიშნული დავალების შესრულების პროცესში (რომელიც კომპლექსური დავალების პირობადაც შეიძლება იქცეს) ვმუშაობთ არამართო ვიზუალურ-სივრცითი აღქმის, არამედ, მეტყველების, თხრობის, გრამატიკული

კონსტრუქციების (წინდებული, თანდებული) სწორად გამოყენებასა და აბსტრაქტული აზროვნების განვითარებაზეც.



ადამიანის არსებობა და ცხოვრება წარმოუდგენელია წარსული გამოცდილების გარეშე. მეხსიერების ფუნქცია არის გამოცდილების შექმნა, წარსულში აღქმულისა და განცდილის შენახვა, მომავალ ქცევაში მისი გათვალისწინება და ჩართვა. პირობითად, მეხსიერება შეიძლება სამ ეტაპად ან ფაზად დავშალოთ: ინფორმაციის აღბეჭჭვა (კიდორება), შენახვა და აღდგენა (დ. ფარჯანაძე 2008). იმის გათვალისწინებით, თუ რა ტიპის ინფორმაციის დამახსოვრება ხდება და რამდენი ხნით ინახება შემოსული ინფორმაცია „მეხსიერების საცავში“, გამოყოფენ მეხსიერების რამდენიმე ფორმას და სახეს. კრებულში წარმოდგენილი აქტივობები განკუთვნილია ვიზუალურ და ვერბალურ (მეხსიერების ტიპები/სახეები), ხანგძლივ, ხანმოკლე და მუშა მეხსიერებაზე (ფორმები) სამუშაოდ.



სურ. 11 მეხსიერების ფორმები და სახეები

მარტივად რომ ვთქვათ, ვიზუალური მეხსიერება არის უნარი, მახსოვდეს, როგორ გამოიყურება ესა თუ ის ობიექტი. ხანმოკლე ვიზუალური მეხსიერება ეს არის, ობიექტის ერთჯერადი აღქმით, ინფორმაციის შენარჩუნება, დროის მცირე მონაკვეთში. ხანმოკლე მეხსიერებიდან კი ინფორმაცია ხანგძლივ მეხსიერებაში გადადის. სირთულეები და საჭიროებები ხანმოკლე თუ ხანგძლივ მეხსიერებაში, აისახება აკადემიურ სფეროშიც. კერძოდ, თუ მოსწავლეს უჭირს, დაუყოვნებლივ გაიხსენოს, როგორ გამოიყურება ესა თუ ის ასო, მას გაუჭირდება წაკითხვა, წაკითხული თუ მოსმენილი ინფორმაციის მოგვიანებით აღდგენა.



სურ. 12 ვიზუალური მეხსიერება

აქტივობების დაგეგმვის წინ, მნიშვნელოვანია შეფასდეს მოსწავლის ვიზუალური მეხსიერების მოცულობა - რა რაოდენობის ობიექტების დამახსოვრება შეუძლია მას, ერჯერადად აღქმის შემთხვევაში.


შეთავაზებულ ობიექტთა რაოდენობა კი გაიზრდება ეტაპობრივად, აღნიშნული უნარის განვითარებასთან ერთად. წარმოდგენილი მაგალითი (სურ. 2) კი სწორედ ამის ილუსტრაციაა. ჯერ მხოლოდ ორი ობიექტის დამახსოვრება ევალება მოსწავლეს, შემდეგ სამი და ასე შემდეგ.



აქტივობა, (სურ.3) სადაც მოსწავლეს ვთავაზობთ, დაიმახსოვროს, შემდეგ კი პროდუქტთა ჩამონათვალში იპოვოს, „პიცის ინგრედიენტები“, შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც ვიზუალური მეხსიერების მოცულობის, ასევე, ყურადღების კონცენტრაციისა და ვიზუალური დისკრიმინაციის უნარის განსავითარებლად. გარდა ამისა, თუკი „ინგრედიენტებს“ სხვადასხვა რაოდენობით წარმოვადგენთ „პიცაზე“ და მოსწავლეს მათი რაოდენობის დამახსოვრებასაც ვთხოვთ, დამატებით მათემატიკური უნარებისა და მუშა მეხსიერების განვითარებაზეც ვიმუშავებთ.

სურ. 13 ვიზუალური მეხსიერება

ქვემოთ მოცემული აქტივობით (სურ. 4) ვმუშაობთ, როგორც მოსწავლის ვიზუალური მეხსიერების, ასევე, ვიზუალურ სივრცითი უნარების განვითარებაზე. თუ მოსწავლეს მყისიერად ვთხოვთ ინფორმაციის აღდგენას, მაშინ აქტივობა უშუალო ვიზუალურ მეხსიერებაზე სამუშაოდ გამოიყენება, იმ შემთხვევაში, თუკი გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ვთხოვთ დავალების პირობის შესრულებას, მაშინ ხანგძლივ მეხსიერებაზე ვმუშაობთ. ერთი აქტივობა შეიძლება როგორც პირველ, ასევე, მეორე შემთხვევაში გამოვიყენოთ. კერძოდ, მოსწავლეს ვთხოვთ დაემახსოვრებინა ბადეში განლაგებული ობიექტები, მან დავალებას შეხედა რამდენიმე წამით, შემდეგ დამახსოვრებული ნიმუშის მიხედვით, ცარიელ ბადეში განალაგა ფერადი ვარსკვლავები. სასწავლო პროცესის დასასრულს, კვლავ მივცეთ ცარიელი ბადე და ფერადი ობიექტები, ვთხოვთ კვლავ შეესრულებინა აქტივობა, გაკვეთილის დასაწყისში მიწოდებული ნიმუშის მიხედვით. პირველ შემთხვევაში ვიმუშავებთ უშუალო ვიზუალურ მეხსიერებაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში - გადავადებულ, ხანგძლივ ვიზუალურ მეხსიერებაზე.



სურ. 14 ვიზუალური მეხსიერება

სმენითი, იგივე ვერბალური მეხსიერება გულისხმობს ვერბალურად მიწოდებული მასალის დამახსოვრებასა და აღდგენას. სმენით მეხსიერებაში სირთულეები, იწვევს აკადემიურ სფეროში სირთულეებსაც. კერძოდ, თუ მოსწავლეს არ შეუძლია მოსმენილი ინფორმაცია შეინარჩუნოს მცირე დროით (ხანმოკლე სმენითი მეხსიერება) ანდა გადაიტანოს ხანგრძლივ მეხსიერებაში, ეს ხელს შეუშლის როგორც მოსმენილი ტექსტის გაგებაში, ასევე, გადმოცემაში.

ისევე როგორც ვიზუალური, სმენითი მეხსიერების შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია, აქტივობის დაგეგმვა და შეთავაზებამდე მოსწავლის სმენითი მეხსიერების მოცულობის განსაზღვრა და მხოლოდ ამის შემდგომ აქტივობის განხორციელება. სმენითი მეხსიერების მოცულობის დასადგენად მოსწავლეს ვუსახელებთ სიტყვებს და ვთხოვთ, გაიმეოროს იგივე თანმიმდევრობით, უცვლელად (სურ. N5).




სურ. 15 ვერბალური მეხსიერება

სურ. 6 ვერბალური მეხსიერება

იმისათვის რომ პროცესი მეტად ფუნქციური გავხადოთ და მეხსიერების მოცულობის განვითარებასთან ერთად ვერბალური ყურადღებისა თუ მეტყველების განვითარებაზეც ვიმუშაოთ, სიტყვათა რიგის გამეორების გარდა, შეგვიძლია წინადადების გამეორება შევთავაზოთ მოსწავლეს. პირობითად, თუ მოსწავლის უშუალო სმენითი მეხსიერების მოცულობაში სამი ერთეული თავსდება და მას სამსიტყვიანი წინადადების გამეორება შეუძლია, გადავიდეთ ოთხსიტყვიან წინადადებაზე და ასე, ეტაპობრივად გავზარდოთ სირთულე (სურ. N6).

თუკი მოსწავლეს მივცემთ გეომეტრიულ ფიგურებს და ვთხოვთ, მოსმენილი ინფორმაციის შესაბამისად გააფერადოს ისინი, (სურ. N7) მაშინ ვერბალურ მეხსიერებას ვანვითარებთ. ვერბალურ ანუ სმენით მეხსიერებასთან ერთად კი, მოსწავლის საჭიროებებისა და დასახული მიზნების შესაბამისად, დამატებით, მოტორული უნარების განვითარებაზე, ვიზუალურ დისკრიმინაციასა თუ მათემატიკაში,



გეომეტრიული ობიექტების ცნობაზე შესაძლოა ვიმუშაოთ.

სურ. 7 ვერბალური მეხსიერება

ქვემოთ მოცემულია აქტივობის ნიმუში, სადაც, მოსწავლეს ვთხოვთ, დაიმახსოვროს ვერბალურად მიწოდებული ინფორმაცია - რომელი ფერის გემი რა მიმართულებით მოძრაობს, შემდეგ კი მარშრუტი გადაიტანოს ე.წ. „რუკაზე“. პროცესში ჩართულია მუშა მეხსიერება (მოსწავლე იმახსოვრებს არა მექანიკურად, არამედ, ჩართულია აზროვნების პროცესიც, მის წინაშე არსებული ამოცანის გადასაწყვეტად). გარდა ამისა, მოსწავლესთან ვმუშაობთ ყურადღების კონცენტრაციისა და ვიზუალურ-სივრცითი უნარების განვითარებაზეც. აქაც, მიწოდებული ინსტრუქციების რაოდენობა დამოკიდებულია მოსწავლის სმენითი მეხსიერების მოცულობაზე და ამ შემთხვევაშიც, სირთულე იზრდება ეტაპობრივად.

- მკობრების იასამინისფერი გემი შავიზღვის განს და მიცვრდება ტყისთან.
- მკობრების ყვითელი გემი შავიზღვის რუკას და მიცვრდება გთბთან.
- მკობრების წითელი გემი ბაივლის განსა და თთიყუს შორის და მიცვრდება გთბთან.
- მკობრების ლურჯი გემი შავიზღვის მკობრებს და მიცვრდება კუნძულთან.
- მკობრების მწვანე გემი შავიზღვის თთიყუს და მიცვრდება კუნძულთან.



## ყურადღება

ყურადღება არის გარემოში არსებული ინფორმაციის შემჩნევისა და დამუშავების შესაძლებლობა. იგი, როგორც მოქმედება, გულისხმობს ცნობიერების შევიწროვებას და ამ სახით წარმართვას ობიექტზე ანდა მოვლენაზე. ყურადღება შეზღუდულია როგორც მოცულობის, ასევე, ხანგრძლივობის თვალსაზრისით და ნებისმიერი ქცევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.


ერთდროულად ყველა სამიზნე ობიექტი, ჩვენი ყურადღების ველში ვერ განთავსდება. ამიტომ ჩვენ ვახდენთ შერჩევას, ვკონცენტრირდებით ერთ რომელიმე სამიზნე სტიმულზე - სელექციური ყურადღება.

